გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 157
2023 წლის 8 სექტემბერი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ ბავშვთა განვითარების ცენტრი აიქიუსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ.

ა(ა)იპ ბავშვთა განვითარების ცენტრი აიქიუს 2023 წლის 14 ივლისის განცხადებით დადგა საკითხი გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გორში, ძმები რომელაშვილების №186-ში მდებარე უძრავი ქონების (ს.კ. 66.05.10.028.01.500) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ. ორგანიზაცია ემსახურება როგორც შშმ, ისე ტიპური განვითარების ბავშვებს (განვითარების ეტაპების დაყოვნება, აუტიზმი და სხვა). ბავშვთა განვითარების ცენტრი აიქიუ-ს ფართი გათვლილი იყო 80 ბენეფიციარზე, თუმცა მაღალი და აქტიური მიმართვიანობის საფუძველზე მათი რაოდენობა შეადგენს 150 ბავშვს და გრძელდება მიმართვიანობის უწყვეტი რეჟიმი, შესაბამისად შეექმნათ ფართის პრობლემა და ესაჭიროებათ დამატებითი ფართი, რათა ბენეფიციარებს სრულფასოვნად ჩაუტარდეთ სარეაბილიტაციო კურსი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ა(ა)იპ ბავშვთა განვითარების ცენტრი აიქიუს უსასყიდლოდ სარგებლობაში უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს, გორში, ძმები რომელაშვილების №186-ში მდებარე 424. 00 კვ.მ. ფართი, საკადასტრო კოდი N66.05.10.028.01.500.

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს, ა(ა)იპ ბავშვთა განვითარების ცენტრი აიქიუს (საიდენტიფიკაციო კოდი 418480414) გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, ძმები რომელაშვილების №186-ში მდებარე 424.00 კვ.მ. ფართი, საკადასტრო კოდი N66.05.10.028.01.500 შემდეგი პირობებით:
ა) ფართი გამოიყენოს მიზნობრივად - განახორციელონ ბენეფიციარებისათვის სარეაბილიტაციო კურსის ჩატარება;
ბ) მოახდინოს გადაცემული ქონების კაპიტალური რემონტის განხორციელება ხელშეკრულების გაფორმებიდან მაქსიმუმ 10 თვის ვადაში;
გ) რემონტის პროცესში ფასადის ცვლილება შეთანხმდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილებასთან;
2.
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებულიპირისმიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმ ავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**